

K 3757
2



575

813.762.7-32

ვარლამ რუხაძე



მეცნიერებათა ისტორია

თფილისი
სტამბა ვ. ა. რუხაძისა
1920




ბიბლიოთეკა

ჩ. 3. 401
2

სტოქის ნომერი №	
ბიბლიო- თეკის ნომერი №	3384
წიგნი №	5732

თფილისი
სტამბა ვ. ა. რეხადისა
1920



მეფე და გლეხი

1

ქდრე, ძველ დროში, მაშინ, როდესაც
 მონის უღელს ქვეშ ქედს ხრიდა ხალხი
 და გაისმოდა კიდით-კიდემდე
 წამებულთ კენესა, ვა-ვაგლაბი, --
 ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი,
 ულუკმაპუროთ სული ხდებოდა,
 თუმც წელს იწყვეტდა, შრომის ოფელს
ღვრიდა,

მაგრამ ქვეყანას რას გახვდებოდა?
 ერთხელ, როდესაც ქობის წინ იჯდა,
 შავი ფიქრებით გარემოცული,
 მივიდა მასთან შვილი და უთხრა:
 „მამავ! გამხნევედი, ნუ გიწუხს გული.
 მოდი გამყიდე... მაგრამ იცოდე
 არ დამთმო მუქთად, ფასად ჩაღისა,
 ხომ იცი კარგათ, რომ ცნობა ვიცი
 კაცის, ცხენის და ძვირფას-თვალისა“.

დასთანხმდა მამაც და წაიყვანა,
ჩამოატარა მთელი ბაზარი.

— „ვის გინდა კაცი დიადი მკოდნე!“ —
ყვიროდა იგი, როგორც ვაქარი.
იქ სწორეთ ამ დროს თავის ამალით
დასეირნობდა შეფე სვიანი
და იმის ყვირილს რა მოჰყრა ყური,
მოიხმო, უთხრა: „თუ ხარ ჭკვიანი,
სწორეთ მითხარი, ნუ დამიფარავ,
რომ არ დაგატყდეს ჩემი რისხვა თავს:
რა იცის მართლა მაგ შენმა შეილმა?
რით განირჩევა და სჯობია სხვას?“
აუხსნა გლეხმაც. იყიდა შეფემ
იმ განზრახვით, რომ გამოეცადა:
ქეშმარიტება ჯერ არ ნახული
თვალით ენახა — გულით ეწადა.
შინ წაიყვანა, გადასცა ხაბაზს,
თან დაავალა, რომ ეგდო ყური
და ყოველ დღლით, თავთავის დროზე,
ეძლია მისთვის მას თითო პური.

2

ერთხელ მოიხმო შეფემ და უთხრა:
— „აბა მიჩვენე უნარი შენი:
ჩემ ცხენთა ჯოგში ამომიჩიე
საუკეთესო საჯდომი ცხენი“.

იმანაც მყისვე იქვე მდგომ ჯოჯსა
მიაველ-მოაველო მუშტრისა თვალი
და აარჩია ბედაურებში
ყველაზე უფრო მქლე და ართვალი.
უთხრა: „ბატონო, ყველას ესა სჯებს,
ერთიც არაა ამის ბადალი:
არც შორი გზითა მოიქანცება,
ვერც შეაყენებს კლდე, ღრე და წყალი“.
გაკვირდა მეფე. ეჭვით შეხედა.
თან გულიანათ გადიხარხარა.
უთხრა: „ჰე, კაცო, შენ ვილაცა ხარ
ან სულელი ხარ და ან მასხარა“.
და შემდეგ თვითონ ამოირჩია
ერთი მერანი კვერცხივით რგვალი.
გლებმა კვლავ ჰკადრა: „ბატონო, მეფეც!
მე მაინც ვიტყვი: გატყვილებს თვალი.
ის ცხენი, თქვენ რომ ამოირჩიეთ,
გამოზრდილია კამეჩის რძითა
და როგორც ნახავს წყალს, შიგ ჩაწეება,
რადგან სავსეა მისივე ზნითა...“
მაგრამ ეს მეფემ არ დაიჯერა,
თავის მხრით გლებმაც არ დაუთმო მას:
ბოლოს, სიმართლის დასამტკიცებლათ,
მოასხდენ ცხენებს და გაუდგენ გზას.
ავლეს აღმართი, ჩავლეს დაღმართი,
რვა მთა, რვა ბარი გადაიარეს,



მეცხრე მთის ძირში ფონათ გაშლილსა
 მიადგენ ერთ დიდ და მალ მდინარეს.
 ქაფათ ქცეულმა მეფის პერანმა,
 რა ნახა წყალი, გულს იგრძნო შეება:
 შიგ ჩაწვა მყისვე და ჩვენი მეფე
 ზვირთებს გადასცა და მიანება;
 და ის-ის იყო დაიბრჩვებოდა,
 შიგ ჩაიხვევდა მორევი ბნელი,
 მაგრამ მიუსწრო გლებმა და იხსნა,
 არ დაიშურა შრომა გულ-წრფელი.
 მეფემაც ერთგულ სამსახურისთვის
 დიდი მადლობა გადაუხადა,
 ჯილდოთ აღუთქვა მეორე პურის,
 მოვალეობა მით მოიხადა.

3

გავიდა ხანი. ერთხელ ვაჟარმა
 ჩამოატარა ძვირფასი-თვალი
 და შესთავაზა მეფეს. იმასაც
 მოეწონა და ზედ დარჩა თვალი.
 ჰკითხა: „რა მოგცე?“ მიუგო: „მეფავ!
 ბევრს არ მოვითხოვ თქვენგან სასყიდელს:
 რასაც ეს თვალი კი იწონის,
 მხოლოდ ავიღებ მე ოქროს იმდენს“.
 დასთანხმდა მეფეც. დასდევს სასწორზე.
 აყრიან ოქროს — არ იწონება.

ცალიერდება მეჩის საღარო,
 უცქერის იგი და ბრაზით სკდება.
 რა ქნას, არ იცის... და ამ დროს გლები
 კვლავ მოაგონდა, თავისი მხსნელი,
 მოიხმო, ისიც მოვიდა წამსვე,
 და რა შეახო ძვირფას-თვალს ხელი,
 იცნო, სთქვა: „ეს ხომ კაცის თვალია?!“
 და დააყარა მიწის ნაფჩხვენი:
 მყისვე დასწონა და გაკოტრებას
 გადაარჩინა მით მეფე ჩვენი.
 იამა მეფეს. მადლობა უთხრა
 კვალად ამ ერთგულ სამსახურისთვის
 და დაავალა თავის ხაბაზსა:
 მესამე პურიც ეძლია მისთვის.

4

კვლავ განვლო ხანმა. მეფემ ნადიმი
 გამართა დიდი, უხვი, ძვირფასი;
 ხელიდან ხელში გადადიოდა
 ყანწ-აზარფაში და ოქროს თასი;
 ფრთა გაეშალა ლხინის ღმერთს მძლავრათ,
 მხიარულება ცასა სწედებოდა;
 საკრავთა ტკბილ ხმებს გრძნობათა ზღვაში
 სულიც და გულიც თან მიჰყვებოდა...
 და ამ დროს მეფემ ჩვენს ნაცნობ გლებსა
 სახაბაზოდან გამოუძახა,



უბრძანა: „აბა ახლა მითხარი, აქ მყოფთა შორის ვინ არის გლახა? —
 მაგრამ ეს გლებში შორს დაიჭირა,
 რადგანაც ჰქონდა სიკვდილის შიში.
 მეფე კი მაინც არ ეშვებოდა...
 რა ექნა ბეჩაფს? ჩავარდა ფიქრში.
 და გადასწყვიტა ბოლოს, რომ ეთქვა,
 მაგრამ მოსთხოვა სიტყვა მეფური:
 სიმართლის თქმისთვის არ დაესაჯა
 და მოესმინა დამშვიდებული.
 როცა მიიღო, გაიხმო განზე
 და საიდუმლოთ უთხრა მას ჟურში:
 „ყველაზე გლახა თვითონ ხარ, მეფევე, —
 ან რა იქნები ხაბაზის ბუში?“
 განრისხდა მეფე, მაგრამ რა ექნა,
 ველარ გატება სიტყვა აღთქმული,
 მხოლოდ მიიჭრა დედასთან წამსვე,
 შესძახა: „უნდა გაგიპო გული!
 მითხარი ჩქარა, ვისი შვილი ვარ?!“
 დედაც გამოტყდა, ველარ დაფიცა
 და გლების სიტყვა მეფეზე თქმული
 დაადასტურა და დაამტკიცა.
 დალონდა მეფე გაწბილებული,
 შემოესია ფიქრები შავი...
 მოიხმო გლები და გამოჰკითხა,
 სიდან იცოდა მან ეს ამბავი.



მიუგო: „შეხვე, „კვიცი ჯიშზე ჰბტის“,
ეს ანდაზა შენც გაგეგონება:
ამით ბევრს რასმე საგულისხმოსა
მოგვეთხრობს მამათ ბრძენი გონება.
მეც, მის თანახმით, შენი ბუშობა
მით დავასკენი გულის სიღრმეში,
რომ ჯილდოთ ერთგულ სამსახურისა,
მხოლოდ სამ ჰურსა ნაძლევი დღეში!“

მდიდრის შვილი

1

იყო ერთი მდიდრის შვილი,
უღარღელი, მზიარული;
დღე და ღამე ქეიფობდა,
წინ უძლოდა კიანური.
აქებდენ და აღიდებდენ
ვიდრე ჰქონდა სავსე ქისა;
მაგრამ როცა დაეფუკა,
მეგობრებიც გაეთვისა.
დადიოდა მარტოთ-მარტო,
დახეული, დაფლეთილი,
გროშიც კი არ უქყავოდა
ჯიბეში ყურ-გახვრეტილი.
წინანდელი მეგობრები
ახლა თავსაც არ უკრავდენ;
ყბა-მოდრეცით დასცინოდენ
და ამ ქცევით გულს უკლავდენ.

2

ერთხელ, როცა მარტო იყო
და ახრჩობდა ბოლმა-დარდი, —
უცბათ თავზე წამოადგა
მამამისის განაზარდი.

მიესალმა. მოიკითხა.

განვლილი დრო მოაგონა
და მით კიდევ უფრო დასჭრა,
კიდევ უფრო დააღონა.

შემდეგ უთხრა: „როს წინ მიდგას
სიღუბჭირე შენი ყოფნის,
სიბრალუღლით გული მტკივა,
მოთმინება აღარ მყოფნის.
რა იყავი? ახლა რა ხარ?

დღეს კაცათაც არვინ ვაგდებს:
დაგცინიან, როგორც სულელს,
ქუჩის მტვერში ნათრეფ-ნაგდებს.
აფსუს! განა ეს შეშვენის
მამა-შენის შთამომავალს?

ეჰ, რა ვუთხრა წუთისოფელს,
უკუღმართს და მრუდეთ მავალს!
განსვენებულ მამაშენსა

აქ ბადალი არვინ ჰყავდა:
მოძმეს ძმურად ექცევოდა,
ვაჭივრებულს ხელს არ ჰკრავდა.

ბევრი კარგი მახსოვს მისგან,
პატივს ვცემ, ვით მამას შვილი,
და მეც ამის აღსანიშნათ
მსურს მოგიძღვნა მცირე წვლილი.

მაგრამ უნდა გაგაფრთხილო:
არ გაფლანგო ძველებურად;

მუქთა-ხორა ღოთი-ფოთებს
 კვლავ არ აპყვე შენებურად.
 მამის კვალზე გაიარე:
 შენც ვაქრობა გააჩაღე...
 დანგრეული კარმიდამო
 ააშენე, გააბაღე“.
 და გადასცა ასი ოქრო
 სულ ბაჯადლო დაყურსული.
 ის სირცხვილით ხმას ვერ იღებს,
 ზის თავისთვის გაღურსული.
 მხოლოდ ნიშნათ მადლობისა
 მოწიწებით უხრის თავსა.
 გულში ამბობს: „ახლა უკვე
 კარგათ ვარჩევ თეთრს და შავსა.
 ხვალვე წავალ საზღვარ გარეთ:
 მამის საქმეს განვაახლებ.
 უმნიშვნელოთ ცალ გროშსაც კი
 არ დავხარჯავ, ხელს არ ვახლებ“ .

3

მეორე დღეს დილით აღრე
 გზას გაუდგა ჩვენი გმირი.
 მიდის, მიდის... ვერ აშინებს
 გზა გრძელი და ტყე-ღრე ხშირი.
 მაგრამ, როცა შემოლამდა
 და შიმშილიც იგრძნო ძალზე.

ერთ დუქანში შეუხვია
და თავისთვის მიჯდა განზე.
ზის და ხედავს მის გარშემო
ერთი აურ-ზაურია:
რიგი მღერის, რიგი დავობს...
ყურთ წამლები ხმაურია.
მხოლოდ ერთი მოხუცი კი
ზის თავისთვის, ვით ეული,
და აკვირვებს ყველას მისი
გამოხედვა თითოეული.
მედიდურად იყურება,
როგორც ბრძენი, ან სულელი
და ბუტბუტებს: „მოვა, მოვა
იგი, ვისაც მე სულ ველი“.
ხედავს ამას ჩვენი გმირი,
უკვირს მისი ყოფა-ქცევა,
გულში ფიქრობს: „ეს მოხუცი
აქ ყველასგან განირჩევა“.
და შეზობელს ეხვეწება:
— „თუ ძმობა გრწამს ამიხსენი,
ვინ არის ის ბერიკაცი,
უცნაური სახის მჩენი?“
— „ჩვენი სოფლის სალოსია,
უხუცესი, ქკუით ბრძენი,
მაგრამ პასუხს არ გაღირსებს,
თუ ოქრო არ მიუძღვენია“.



ისიც ფიქრობს: „მოდე ვშინჯებ
 ეგებ მითხრას კარგი რამე;
 სულ ერთია, მაინც ხომ აქ
 გავათიო უნდა ლამე“.
 მოკრძალებით მიდის მასთან,
 თანვე შიაკვს ოქრო სამი,
 ეუბნება: „ბრძენო კაცო,
 შემომწირე ორი წამი:
 მითხარ რამე საგულისხმო,
 ცხადათ, ანუ არაკებით“.
 და მოხუციც დინჯათ, მძიმეთ
 პასუხს აძლევს ქარაგმებით:
 — „როცა სადმე მიდიოდე,
 თუ ცას აწვეს ღრუბელთ ქულა,
 ფეხიც კი არ გადაადგა,
 ბრძენ კაცთაგან ასე თქმულა.
 — ამხანაგათ ნუ გაიხდი.
 კაცს ლარიზს, გინდ ოქროთ ნამოსს,
 ვიდრე შენთან ათი ჯამი
 მან მარილი არ შესჭამოს.
 — არაფერი გავიკვირდეს,
 რა გინდ ნაბო საკვირველი,
 თითქო არაფერი იყოს,
 ჩაიქნიე შენთვის ხელი!“
 მოისმინა ეს პასუხი,
 ეჭაშნიკა, დაიჯერა

და სახსოვრათ სათითაოთ
უბის წიგნში ჩაიწერა.

4

რა გათენდა, სხვასთან ერთად
გამოვიდა ისიც გარე,
ცას შეხედა და რა ნახა
თაღხ-ჩაკმული, მკლოოვიარე,
დაბრუნდა და არ წასულა,
ვიდრე ცამ არ გადიკარა;
მაგრამ, როცა მზემ სხივები
ძირს ისრებათ გადმოჰყარა,
მაშინ ისიც გზას გაუდგა
ისე სწრაფათ, ისე ჩქარა,
რომ სავლელი ერთის დღისა
სამ საათში გაიარა.
ხიდს მიაღგა. ხედავს ხევში
ჭგდია ვილაც მკვდარი კაცი,
ყორნები თავს დასჩხავიან,
თმას უბურძგნის ქარი ანცი.
დააკვირდა. იცნო მისი
დიღანდელი თანამგზავრი.
სისხლში მოსვრილს პირისსახე
შავი ჰქონდა, ვითა შავრი.
თურმე მეხი დასცემოდა
და მოეკლა უბედური.



„მადლობა ღმერთს, — თვის გულში სთქვა,
 არ ვარ ბედის უმადური,
 რომ დავბრუნდი და ამ დილით
 ამ კაცს თან არ წამოვყევი,
 თორემ მეც „ხომ სასაფლაოთ
 მექცეოდა ეს ღრმა ხევი!“
 და სამარე გაუთხარა,
 დამარხა და დაიტერა.
 შემდეგ ისევ წინ გასწია,
 გზა მიზნისკენ დაიჭირა.

5


უკან ქურდი მოეწია.
 — „გამარჯობა, მეგობარო!
 ნეტა სითკენ მიიჩქარი?
 მო, ვიაროთ მხარდამხარო“.
 დამეგობრდენ. ერთმანეთსა
 გაღუშაღეს სული, გული
 და, უცნობმა რა გაიგო
 მისი ფიქრი დაფარული,
 სთქვა: „ეს კარგი შემთხვევაა,
 უკეთესი არ იქნება,
 და მეც უნდა ვისარგებლო,
 ავისრულო გულის ნება.
 მაგრამ ჯერ კი საჭიროა
 მოვაჩვენო ისე თავი,

რომ დაშენდოს, როგორც ძმა ძმას,
 ვერ გამიგოს ფიქრი ავი".
 უთხრა: „მოდო, მეგობარო,
 ამხანაგათ ამიყვანე
 და იქ, სადაც შენ მიდიხარ
 სავაქროთ, მეც წამიყვანე.
 ამ საქმეში მე ისე ვარ
 გამოცდილი, ჩახედილი,
 რომ უკეთესს ვერ ინატრებს
 კაცი ქკუა-დახედილი".
 უპასუხა: „რატომ არა,
 თანახმა ვარ, დეე, წამო,
 მაგრამ ერთის პირობით კი:
 ათ ჯამ მარილს თუ შესქამო.
 სახტათ დარჩა ჩვენი ქურდი,
 ვერც „მო“ უთხრა და ვერც „არა“,
 და როდესაც დრო იხელთა,
 შეუმჩნევლათ გაეპარა.

R3.759
2

6

უკვე საზღვარს გადასცილდა
 და მიაღწა უცხო მხარეს.
 ხედავს წალკოტს აყვავებულს,
 ვარდ-ყვავილებს მონარნარეს;
 ეზოს ოქროთ შემომესრილს,
 შივ სასახლეს ტურფათ ნაგებს,



სად მარათ გაუშლიათ
 კუდი ფრთაქრელ ფარშევანგებს.
 ხედავს, მაგრამ გაკვირვება
 სახეზე არ ეხატება,
 ხელს იქნევს და კვლავ წინ მიდის,
 წინსვლის ეინი ემატება.
 სალამს აძლევს კარისკაცი,
 ეუბნება გაკვირვებით:
 — „ოცი წელი აქა ვდგავარ,
 თვალს ვადევნებ დაკვირვებით,
 მაგრამ კაცი არ მინახავს
 აქ გამველილი არასოდეს,
 რომ ნახულით განცვიფრება
 სახეზე არ აღბეჭდოდეს.
 დღეს პირველათ შენა გხედავ
 და, გთხოვ, მომცე მე ალება,
 რომ მეფესთან წაგიყვანო,
 შევასრულო დავალება“.
 ეს უთხრა და წინ წაუძღვა,
 ილიც გაჰყვა, არ დახარდა,
 და მოხუცის ნათქვამს სიბრძნეს
 აეხადა აქ მთლად ფარდა.

7

როცა მეფეს წარუდგინა,
 მოახსენა, რაც რომ ნახა.

მეფემ თვისი აღტაცება
 ტაშის დაკვრით გამოსახა.
 უთხრა: „სიტყვა დამიდვია,
 რომ მას მივცე ჩემი ქალი,
 პირათ მზე და ტანათ სარო,
 ლაწვ-ვარდი და შკერდ ფიქალი, —
 ვინც ბრძენია: ვერ აკვირვებს
 ვერც სიმდიდრე, ვერც ღიდება,
 და ცხოვრების მძიმე ქაპანს
 უდრტვინველათ ეზიდება“.
 და თან ხელი დაუჭირა,
 თეთრ დარბაზში შეიყვანა,
 და უბრძანა გამდელს: „ჩქარა
 აქ მომგვარე ჩემი ანა!“
 ტახტზე დასვა ორივე ერთად,
 დალოცა და გადაჰკოცნა...
 და სახსოვრათ ამ ღიად ღღის
 მოკრულ ქისას თავის მოხსნა.
 სამი დღე და სამი ღამე
 ლხინი იყო გამართული:
 ჩანგი ჭღერდა, თარი ჰკვნესდა,
 ერთმანეთში ჩახლართული.

8

დრო გავიდა. ჩვენი გმირი
 შინ დაბრუნდა სავსე ქისით.

ნახა ძველი ნამოსახლი,
 ამალღდა და დასტკბა შისით,
 დანგრეული კოხმანები
 შესცვალა დიდ დარბაზებით;
 მოქარგა და დაამშვენა
 ჩუქურთმებით ლამაზებით.
 სანადიმოთ მოემზადა:
 დაჰკლა ძროხა, დაჰკლა ცხვარი...
 დაჰპატიჟა, ვინც კი ჰყავდა
 ნაცნობი და მეგობარი.
 დასხდენ. ამბობს მასპინძელი:
 — „ჯერ ხელს ჩაჰყოფს ჯამში ისა,
 ვისაც მხოლოდ მე ვუყვარვარ,
 არა ჩემი სავსე კისა“.
 მაგრამ ერთიც არ აღმოჩნდა
 ამისთანა სტუმართ შორის
 და სუყველა სათითაოთ
 გაიპარა, გარდა ორის:
 დარჩა მხოლოდ მისი და და
 მამამისის განაზარდი,
 მისი კირის მოზიარე,
 მასთან ერთად შენაზარდი.
 გულიანათ ხარხარებდენ
 და ამბობდენ: „ჩვენო სვინა,
 რა გულითაც ჩვენთან მოდი,
 იმგვარათვე მიხვალ შინა!“

გლეხი და გველი

1

ერთხელ მეფეს სვიანსა,
როცა ტკბილათ ეძინა,
ქირ-ვარამის უცნობელს,
გულზე ვარდი ეფინა, —
სიზმარი დაესიზმრა,
ჯერ არვისგან ნახული:
ვითომ მისი სასახლე,
ოქროს ყაფრით ნახური, —
შუბ-ხანჯლებით ავსილი,
სისხლის ზღვაში სცურავდა
და თვალით განუქვრეტი
ნისლ-ბურუსი ჰბურავდა.
შეკრთა. გამოეღვიძა.
უხმო ნაზირ-ვეზირებს,
მეცნიერებს, სწავლულებს,
მასთან ერთად შეზრდილებს, —
მაგრამ ვერვინ აუხსნა
სიზმარი უცნაური,
თუმც ბევრი დაიხარჯა
სიტყვები უთაური.
გაწყრა მეფე და ბრძანა:
— „ჩემი ქვეშევრდომები,

გლები, თუ აზნაური,
 ყველა ფეხზე მდგომები, —
 დაიბარეთ ახლავე,
 მორეკეთ, ვით კრავები,
 ვინც ვერ ახსნას სიზმარი,
 სწრაფლ დასქერით თავები!

2

ეს ბრძანება საშინელი
 გადაეცა სოფლით სოფელს
 და ნალველი უასკეცდა,
 უმისოთაც ქირში მყოფელს.
 შეძწრუნდა და აწრიალდა
 კაცი, ქალი, მთელი ერი;
 მოდიოდენ, მაგრამ არც ერთს
 აღარ ედვა კაცის ფერი.
 სხვათა შორის ერთი გლებიც
 მოდიოდა ნელო-ნელო;
 ვათ მთას ნისლი, ეხვეოდა
 შავ ფიქრების ცისარტყელა.
 კარგად ჰგრძნობდა ტანჯვის შეილი
 სიკვდილი არ აცდებოდა
 და ნაოკათ შეკრულ შუბლზე
 ქირისოფლი ასკდებოდა.
 ამ დროს უცბათ დაინახა
 გაწოლილი გზაზე გველი,

მოუქნია საბიჯგარი

და მოსწყვიტა კუდი გრძელი.

— „რას მერჩი, ძმავ?! — ჰკითხა გველმა, —

რა გაქვს ჩემთან გასაყოფი?!

ან ბეცა ხარ, ვ-ლაცა ხარ,

ან და — სულით ავითმყოფი!

მე მსურს რითმე დაგეხმარო,

აგაცილო ხვედრი მწიარე;

შენ კი ჩემზე მტრულად იწევ?..

შესდექ! ჰკუა მოიხმარე!

ის სიზმარი, ამას წინათ

რომ უნახავს მეფეს სვიანს,

მე ვიცო და შენც გასწავლი,

აგაცილებ ამით ზიანს.

მაგრამ ჯერ კი შემომფიცე,

რომ არ მომექცევი მტრულად:

რასაც მეფე შენ გაჩუქებს,

მეც გამიყოფ შეუა სრულად“.

გლებს თვალეზი გაუბრწყინდა,

ხსნის იმედი კვლავ მოეცა,

და ბოდრიში მოიხადა,

უმოწყალოთ რომ მოექცა.

შემდეგ უთხრა: „თუ შენ მართლა

ამ სიკეთეს დამდებ, მიზამ,

სიკეთისთვის სიკეთესა

ერთი ორად, ვფიცავ, გიზღამ“.

გველმა უთხრა: „აბა კარგი“.
 და აუხსნა სიზმრის ძალა.
 გლეხმა მადლი გადუხადა
 და მეფისკენ გაეჩქარა.

3

კარს შიადგა სასახლეს
 მხიარულის გულითა:
 ნახა ერი—მწუხარე,
 და ჯალათი—ცულითა;
 მეფე—ტახტზე მჯდომელი,
 ნაღვლიანის სახითა:
 თაყვანი სცა მუხლ-მოყრით,
 დაბლა თავის დახრითა.
 შემდეგ ახლო მიუდგა,
 მოახსენა: „პატონო,
 მეფეთ შორის პირველო,
 ზღვა და ხმელის პატრონო,
 ის სიზმარი, რომელიც
 ამას წინად გინახავს,
 იმას ნიშნავს, რომ შენი
 სამეფო დიდ ჰირს ნახავს.
 სამ წელიწადს მუდმივათ
 ომის ცეცხლში იქნება...
 ბევრი გული დაიწვის,
 ბევრი „ვაი“ ითქმება.

ბოლოს მაინც დაგრჩება
 გამარჯვება ფრიალი
 და კვლავ გაიფანტება
 მწუხარების წყვდიადი“.
 მეფეს თქმული ენიშნა,
 სთქვა: „ბრძენია ქებული“
 დაასაჩუქრა, ოქრო
 უძღვნა ჯორ-კიდებულნი,
 გლები შინ წამოვიდა,
 თვალებ-გაბრწყინვებულნი:
 მას გველიც დაავიწყდა,
 სიტყვაც დაპირებული.

4

დრო გავიდა, ატყდა ომი
 საარაკო, საშინელი:
 ერუანტელს ჰგვრის ახლაც კაცსა
 მოგონება მაშინდელი.
 ვით კალია, მოესია
 ყოველ მხრიდან მტერთა ურდო:
 ცეცხლს და მახვილს მისცა მხარე,
 ბავშვებიც კი არ დაინდო.
 კაცთა ბნელი საქმეებით
 ცაც გაწითლდა, ცაც შეძრწუნდა:
 მაგრამ სისხლი მაინც ჩქეფდა,
 ვიდრე თქმული არ შესრულდა.

სამ წელიწადს გაისმოდა
 ჩახა-ჩუხი, ვაი-ვიში:
 დაქრილებს და დახოცილებს
 აღარ ჰქონდა ანგარიში.
 ბოლოს მაინც ვამარჯვება
 მეფეს დარჩა... გაიხარა
 და მადლობა უძღვნა ღმერთსა,
 რომ იხსნა და დაიფარა.

5

ისევ ნახა სიზმარი
 მეფემ, ახლა სხვაგვარი:
 ვითომ მის სასახლეში,
 ცბიერი და მზაკვარი,
 მელა დაცუნცულებდა,
 აკეთებდა ხერელებსა
 და აბამდა ყოველგან
 მაცდურების ქსელებსა.
 მყის აფრინა შიკრიკი
 და გლეხი დაიბარა.
 გლეხს თავზარი დაეცა,
 ვით შეილდი, მოიხარა.
 სთქვა „ახლა ჩემი საქმე
 მართლა ქანდრაკულია:
 სიმდიდრეც და სიკოცხლეც —
 ორივე დაკარგულია!

გველთან უპირულათ ვარ,
ვის მივმართო ნეტა სხვას?⁴
და მწარეთ აქვითინდა,
თავი მისცა ცრემლთა ზღვას.
მაგრამ მაინც ეახლა,
ან კი სხვა რა გზა ჰქონდა?
მიდიოდა, თან გულით
ჯოჯობეთი მიქონდა.

6

წინ დაუხვდა ავლავ გველი:
— „გამარჯობა, ძმობილო!
ასე რამ დაგალონა,
კაცო კეთილშობილო?
ახლა ხომ კი გაიგე
ორპირობა ცუდია?
პირობის გამტეხელი —
თავის თავის ქურდია!
მაგრამ შე ერთხელ კიდევ
მოგექცევი ძმურადა,
თუ ავლავ არ მომატყუებ
ურცხვად, შენებურადა“.
გლები მუხლზე დაეცა,
ცრემლით სთხოვა შენდობა.
და გველმაც აპატივა
ერთხელ ეს თავხედობა.

კვლავ აუხსნა სიზმარი,
 სიბრძნე არ დაიშურა.
 გლებმა მადლობა უთხრა,
 მეფისკენ გაეშურა.

7

რა შივიდა მეფესთან,
 მოახსენა: „პატრონო,
 მეფეთ შორის პირველო,
 ზღვა და ხმელის პატრონო,
 შენს ვრცელ საბრძანებელში
 ისეთი დრო დადგება,
 მამა შეიღოს არ გაიტანს,
 ძმა ძმასთან არ დადგება;
 ორპირობა-ლაღიატი
 გამეფდება ყველგანა,
 გარყვნილების შორეულში
 აცურდება ქვეყანა“.
 მეფეს თქმული ენიშნა,
 თქვა: „ბრძენია ქებული“.
 და კვლავ გამოატანა
 ორი ჯორ-კიდებული.
 გლები შინ წამოვიდა,
 ძალზე გამდიდრებული:
 მას გველიც დააფიწყდა,
 სიტყვაც დაპირებული.

8

ეს სიზმარიც ასრულდა
 ისე, როგორც პირველი:
 ერთი ისე გაიხრწნა,
 არეინ იყო მწირველი.
 ძმობის ტახტზე დაბრძანდა
 ორპირობა-ლალატი...
 იცით, ვინ პირველობდა? —
 ჯაშუში და ჯალათი.
 არსად იყო ნამუსი,
 არსად იყო გატანა:
 ყველას გულში მღეროდა
 ჯოჯოხეთის სატანა,

9

მესამეთაც ნახა მეფემ
 კვლავ სიზმარი, სულ სხვაგვარი:
 ვითომ იმის სასახლეში
 დაბტუნავდა თეთრი ცხვარი.
 და აფრინა კვლავ შიკრიკო,
 დაიბარა ისევ გლეხი.
 გლეხს შიშისგან ელდა ეცა
 და დაეცა თავზე მეხი.
 მაგრამ მაინც გზას გაუდგა,
 ან კი რა გზა ჰქონდა მეტი?



„ვამ იმას, — სთქვა, — ვინც არის
 სულ-მოკლე და 'შორს ვერ მჭერეტი!
 ვინ დამიხსნის ამ პირიღგან
 ახლა, თუ არ იგივე გველი?
 მაგრამ, ვამ, რომ იმასთან
 არ მაქვს პირი მისასვლელი!
 ორჯერ ზედ-ზედ მოვატყვილე,
 ახლა კიდევ ვით შენდობა?
 მაგრამ სხვა გზა რომ არა მაქვს:
 უნდა ვსთხოვო კვლავ 'შენდობა'“.

მივიდა და მოწიწებით
 მის წინ მუხლი მოიყარა,
 უთხრა: „რომ არ მოვსულიყავ,
 აღარ იყო მეტი ჩარა.
 თორემ 'შენთან მოსასვლელი
 კიდევ მქონდა განა პირი?
 მაპატივე! ერთხელ კიდევ
 ამაკილე გასაქირი!
 ვფიცავ, ყველას შენ მოგიტან,
 რაც მაქვს შეფის ნაჩუქარი,
 ოღონდ ერთხელ კვლავ მაღირსე
 'შენი სიბრძნის ნაშუქარი'“

გველს ღიმილი მოერია,
 გაუყარა თვალნი თვალი.
 უთხრა: „კაცო, უპირუდო,
 არ ხარ ჩემგან შესაბრალო!

მაგრამ ერთხელ კიდევ ვიხსნი,
 კარგზე კარგსა დაფაჩატებ
 და მით მაგ შენს ბოროტ გულში
 სიკეთესა გავაბატებ*.

ეს უთხრა და კვლავ აუხსნა
 სიხმარი და მისი ძალა.
 გლეხმა მადლი გადუხადა
 და მეფისკენ გაეჩქარა.

10

რა მივიდა მეფესთან,
 მოახსენა: „ბატონო,
 მეფეთ შორის პირველო,
 ზღვა და ხმელის პატრონო,
 დრო დადგება ისეთი,
 სანეტარო და ქველი,
 რომ შენს საბრძანებელში
 ერთად სძოვდეს თხა-მგელი;
 სათნოება-სიმართლე
 ძმობის ტახტზე დაჯდება,
 უკან მსვლელი—წინ გასწევს,
 დაცემული—იღსდგება“.

მეფეს თქმული ენიშნა.
 სთქვა. „ბრძენია ქებული:“
 და კვლავ გამოატანა
 სამი ჯორ-კიდებული.

გლები მყისვე გამობრუნდა,
 წამიც კი არ დაახანა,
 ახალ ჯილდოს მეფისასა
 ძველიც ზედვე დააყარა,
 და ყველა ეს უნაკლულოთ
 მიუტანა ერთად გველსა,
 უთხრა: „დღემდე ჩემი სული
 უგნურების ეპყრა ბნელსა,
 მაგრამ შენმა გულ-ქველობამ
 ამიხილა უკვე თვალი
 და მოვედი, შენს წინაშე
 მოვიხადო ჩემი ვალი“.
 გველმა უთხრა: „არ გაქვს ბრალი.
 ეს დრო იყო იმისთანა.
 სხვა გვარობა ვით შეგეძლო,
 შენც დროს შვილი არ ხარ განა?
 პირველათ რომ არ დამინდე,
 სასიკვდილოდ დაჰკარ კეტი,
 ეს მიტომ, რომ სისხლის სუნით
 თავს ეხვია ყველას რეტი;
 მეორეთ რომ მომატყვიდე,
 არ დამიდე მცირე წილი,
 ეს მიტომ, რომ აღარ იყო
 არც ნამუსი, არც სირცხვილი;

დღეს რომ პირიანათ მოდი,
აასრულე, ძმაო, მცნება,
ეს იმიტომ, რომ გამეფდა
სიმაართლე და სათნოება“.
ეს უთხრა და გასრიალდა,
შეაფარა სოროს თავი,
ოქროები—დარჩა გლეხსა,
ჩემს მკითხველს კი—ეს ამბავი.

მეზარე

1

ძველათ, წარსულში,
ქვეყნის შუა გულში
იყო სოფელი გაშენებული,
ზურმუხტ ტყე-ველით,
თვალ-უწვდენელით,
გარს შემორტყმული, დამშვენებული.
და ამ სოფელსა,
მარტო მყოფელსა,
მართაედა კაცი მეტად მტარვალი
და შიგ შურს, მტრობას,
უსამართლობას
სთესდა, იროდის შთამომავალი.

2

ხალხი ჩაგრული,
ხალხი ტანჯული
მძიმე უღელს ქვეშ იკაცებოდა,
სთოხნიდა, მკიდა,
შრომის ოფლს ღვრიდა,
შავს დედამიწას ეომებოდა;

და თავის ნაშრომს—

პურს, სიმინდს თუ ღომს—

ნახევარზე მეტს იმას აძლევდა;

თვით კი მშვიერი,

კუჭ-ცალიერი,

მწარეთ ჰკვნესოდა, ცრემლებს ანთხევდა.

3

ვინმე შეზარე,

ჩაგრულთ მოყვარე;

ხედავდა ამას, უწუხდა გული

და ჰრეკდა ზარსა,

სძრავდა მთა-ბარსა,

რომ ხალხისთვის დაეფრთხო რული;

მაგრამ ხალხს ჩაგრულს,

გონება დახშულს,

ისევ ეძინა საღათას ძილით

და, ვით სანთელი,

ამის მნახველი

იწოდა იგი უშრეტ სახშილით;

იწოდა, მარა

სულისა ძალი

ველავ მტკიცე ჰქონდა და დრკებოდა



და ისევ ჰრგვდა,
 ქედს არ იღრგვდა,
 სწამდა, რომ იმას სხვაეც გაჰყვებოდა.

4

და აუსრულდა,
 რაც გულით ჰსურდა,
 სხვებმაც მიჰბადეს მის მაგალითსა:
 ჩამოჰკრეს ზარი,
 შესძრეს მთა-ბარი,
 საერთო საქმეს შეუდგენ დიდსა;
 გამოაღვიძეს,
 გამოათხიზლეს
 ხალხი მძინარე, წელში მოხრილი,
 და ჩააგონეს
 შავ დღეთა მგონეს,
 რომ დაემსხვრია ხუნდი, ბორკილი.

5

და აღსდგა ხალხი,
 ვაი-ვაგლახი
 შორს უკუ აგდო, ბრძოლას შეუდგა,
 დასწყევლა ბნელი,
 სულისა მღრღნელი,
 და სინათლის გზას გაჰყვა, გაუდგა.

ბორბოტ ძალოსა,
 შხამს, სამსალოსა
 არ შეუშინდა, წინ გაეშურა,
 რომ სანეტარო,
 უცხო სამყარო
 ეპოვნა და იქ დაესადგურა.

6

მაგრამ მტარვალი,
 ვით ცეცხლის აღი,
 ანთო, აღსდგა განრისხებული,
 ყოველის მხრიდან,
 ყოველ კუთხიდან
 მოიხმო თვისი დამქაშთ კრებული
 და მებრძოლთა ჯარს
 შემოარტყა გარს...
 წელში მოჰხარა, დაიმორჩილა
 და ლხინს მიეცა,
 დალოცა ზეცა,
 რომ გაუთენა ნეტარი დილა.

7

დამარცხდა ხალხი,
 მოთქნა, ვაგლახი
 ისევ გაისმა, ვით გლოვის ზარი,

და ცხარე კრემლმა
 თვალთ მონადენმა
 მორწყო ტყე-ველი, მორწყო მთა-ბარი.
 მაგრამ მის გულში,
 სევდით მოცულში,
 იმედის სხივი მთლად არ გამჟვალა
 და ხსნის სურვილმა,
 ბრძოლის წყურვილმა
 ფრთა კიდევ უფრო მძლიერათ გაშალა.

ფულის ძალა

ერთხელ ქრისტემ მოისურვა,
რომ გაეცნო ხალხი:
გლებათ იქცა, მოიხვია
თავზე ჩაბალახი;
ხელში ჯოხი დაიკაეა,
პირში — ყალიონი,
გზას გაუდგა, რა გამოჩნდა
ცაზე ალიონი.
გლებს მიაღვა: „ — მეზობელო,
მიქენ საქმე ძმური,
შემშილისგან სული მძვრება,
მიწყალობე პური.
შენც გლები ხარ, მიწის მუშა,
ჩემებრ ქირნახული
და მრწამს, რომ სხვის გაჭირვებას
იგრძნობს "შენი გული".
გლებმა თავით ფეხებამდე
აათვალიერა
და შემდეგ კი უპასუხა
დამშვიდებით, ნელა:
— „პური კი მაქვს, მაგრამ მუქთად
რათ დაგიტმო, რისთვის?



დღეს ხომ იცი — უფულოთ ხელს
 არ ანძრევს ძმა ძმისთვის“.

ქრისტეს ღიმი მოერია,
 მაგრამ არა სთქვა-რა,
 გულ-ნატკენი მოტრიალდა,
 ფეხი ააჩქარა.

მღვდელს ეწვია, მოკრძალებით
 უთხრა: „მამავ სულის,
 ვიცი, რომ შენ არ გექნება
 ინტერესი ფულის;
 გაქირვებულს შეეწევი,
 ლატაკს შეიცოდებ...
 და მეც მიტომ გიახელი,
 შენს წინაშე ვგოდებ.

ვახ, მეუღლე გადამეღო,
 განუტევა სული;
 მინდა მიწას მივაბარო
 ის სულ-ცხოვრებული.

ჰქენ სიკეთე, დამიძარხე
 ქრისტიანულ წესით.

— „მებრალეები, — უპასუხა
 წუწუნით და კვნესით, —
 მაგრამ უნდა ვითხრა, შვილო,
 ეს არ იცი განა,
 რომ ვერ შევა სამოთხეში
 მკვდარი მაგისტანა?!

ჩემი ლოცვა მაშინ გასჭრის,
დასძლევს ცოდვას ავსა,
როცა ცალკე სამარხს მომცემ,
ცალკე საწირავსა“.

ქრისტეს ღიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა-რა,
გულ-ნატყენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.

ბაზრისაკენ გაეშურა,
აჰყვა ფართლის დუქნებს,
სადაც თავი მოეყარათ
ვაქრებს, კისერ-მსუქნებს.

— „რას ინებებთ?“ — ჰკითხა ერთმა
მოკრძალებით დიდით
და თან შიგნით შეიწვია
საუბარით ფლიდით.

— „საპერანგე ნარმა მინდა
ერთი ექვსი ადლი,
დამპალი არ შემატყუო,
თუ გრწამს ქრისტეს მადლი.“

— „აბა, ბიჭო! — შეუძახა
ნოქარს, — დააჩქარე!“

თან ანიშნა ჩუმათ თვალით,
სადაც ეწყო მდარე.

— „მთლად დუნია მოიარო,
ძმავო, ამგვარ ფართალს,

ვერსად ნახავ, ვერ იშოვნო,
 გკადრებ სიტყვას მართალს.
 მოუზომა, ხუთი აღლი
 მისცა ნაცვლათ ექვსის
 და თან, რომ არ შეენიშნა,
 მოუყვა მას ეს, ის.
 კრისტეს ღიმი მოერია,
 მაგრამ არა სთქვა-რა,
 გულ-ნატკენი მოტრიალდა,
 ფეხი ააჩქარა.
 სასამართლოს მიაშურა,
 იმისკენ ჰქნა პირი
 და შესწივლა მოსამართლეს
 თავის გასაქირი.
 მუხლ-მოდრეკით შეევედრა,
 სამართალი სთხოვა,
 მაგრამ აქაც მარტოთ-მარტო
 ფულის ძალა ჰპოვა.
 სთქვა: „უგნური ადამის ძე
 გადამცდარა გზაზე,
 ღმერთად ფული გაუხდია,
 სცურავს ცოდვის ზღვაზე!
 უძღებ გულში ჩასჯდომია
 ბოროტების გველი
 და შხამს ანთხევს—მოუწამლავს
 არსებობის ველი!

სთქვა და მუისვე გაჰქრა იგი,
მზის სხივს აჰყვა თანა
და ფულს დარჩა სათარეშოთ
შემდეგ ეს ქვეყინა.

გ ლ ე ხ ი

1

ერთ მიყრუებულ
სოფლის კუთხეში
სცხოვრობდა გლეხი,
ტლანქი, უხეში.
შრომობდა დღისით,
შრომობდა ღამით,
მაგრამ ვერაფერს
ხდებოდა ამით.
სიღარიბეში
სძვრებოდა სული:
არც მკაღი ჰქონდა,
არც გროში ფული.
კარებზე უდგა
ყოველ დღეს გზირი, —
არ შორდებოდა,
ვით სნეულს ქირი.
— ეს სახელმწიფო,
ეს დრამის ფული...
ესმოდა მუდამ,
უწუხდა გული.
აქ არვინ ჰყავდა
ნუგეშის მცემი:

ცისკენ მიჰქროდა
მის ფიქრთა გემი.
მისგან ელოდა
ხსნასა და შევლას
და თაყვანს სცემდა
წმიდანებს ყველას.
მაგრამ მისდევდა
თვეს თვე, წელს წელი,—
არვინ ჩნდა მისი
შემწყნარებელი.
ბოლოს ზეცაზეც
გაუტყდა გული,
გაუორკეცდა
სევდა და წყლული.

2

გავიდა ხანი.
მიეცა შვილი,
რომ მოენათლა
უნდოდა, ჩვილი;
მაგრამ ნათლიად
ვერვინ იშოვა:
ყველამ უარჰყო,
ვისაც კი სთხოვა.
სთქვა: „მიტომ არვინ
მკადრულობს აღბათ,

რომ ღარიბი ვარ,
 არა მაქვს ქარბათ
 პური და ღვინო,
 გულის საღებინო,
 ყველა გავაძლო,
 ყველა ვალხინო.
 მქონოდა აბა
 ესე ყოველი,
 არ ვყოფილიყავ
 ლუკმის მთხოველი, —
 მაშინ ბატონ-კაცს
 დამიძახებდენ,
 ჩემს მოყვრობას თვით
 განიზრახებდენ“...
 დასწყევლა სოფლის
 ადათი, რიგი
 და გზას გაუდგა
 შორისკენ იგი.

ჰ

შიმევეალს კაცი
 შემოხედა გზაზე,
 ჰკითხა: „სად მიხვალ?
 ან ნაღვლობ რაზე?“
 გლებმაც აუხსნა
 თავისი დარდი,

წინ გაუშალა
 შავ ფიქრთა ვარდი.
 მან ანუგეშა,
 ვით მამამ შეილი,
 არ დაიშურა
 სიტყვები ტკბილი.
 და ბოლოს უთხრა:
 — „თუ არ მდებ კილსო,
 მე მოგინათლავ,
 ძამიავ, შეილსო“.
 — „კეთილი, — უთხრა, —
 მაგრამ ჯერ მითხარ:
 საიდან მოხვალ
 და ანუ ვინ ხარ?“
 — „ქრისტე ღმერთი ვარ,
 ქვეყნათ შუქ-მფენი...“
 — „არა! არ მინდა
 მოყვრობა შენი!
 აგერ სრულდება
 ორმოცი წელი,
 შენს ვედრებაში
 მწყდება მე წელი:
 ხან სანთელს გინთებ,
 ხან გიკლავ კრავსა,
 გემუდარები,
 გაცოდებ თავსა, —



მაგრამ მე შენგან
 ვერას ველირსე,
 დამივიწყე და
 გამწირე ისე.
 და ახლა გინდა
 მოყვრათ მივილო,
 სახლში შეგიშვა,
 კარი ვაგილო?
 ეს არ იქნება
 არას დროს, არა! —
 შესძახა მკვახედ,
 გაშორდა ჩქარა.

4

დიდხანს იარა,
 იხეტილა,
 გადაიარა
 ბევრი ტყე, ქალა...
 და საღამოს ეამს,
 როს ბინდმა დაჰკრა,
 სიომ სისინით
 ტყეს ფრთები გაჰკრა,
 კვლავ შეხვდა კაცი,
 თმა-წვერ-ქალარა,
 რომელმაც ბარგი
 იქვე დაჰყარა



და ჰკითხა გლეხსა:

— „სად მიხვალ, ძმაო,
ან შუბლზე სევდა
რათ გაზის ღრმაო?“

აუხსნა გლეხმაც
თავისი სევდა,
უთხრა—ნათლიას
რომ დაეძებდა.

— „მე მოგინათლავ,“ —
მიუგო მშვიდათ.

— „მეც მადლობელი
ვიქნები დიდათ.

მაგრამ ჯერ მითხარ:
ვინახარ შენა?“

— „ანგელოზი ვარ,
მცხოვრები ზენა“.

— „რას გეძახიან?“

— „მიქელ-გაბრიელს.

ვერ ნახავ ქვეყნათ
კაცს ჩემს მადლიერს:
ყველას, დიდს, მცირეს,
სულელს, თუ ბრძენსა,
ერთგვარათ ვუსვამ
სიკვდილის ცელსა“.

— „ახ, ვენაცვალე
მაგ შენ გულს მართალს,

რომ არ ამრუდებ
სასწორ-სამართალს!“ —
შესძახა გლებმა,
მოხვია ხელი,
შინ წაიყვანა
სტუმარი ქველი.
გააცნო თვისი
ეზო, სახლ-კარი...
და აქ გათაყდა
კიდევ ზღაპარი.

გაუმადლარი

ერთხელ, მათხოვრათ
გადაქცეული,
ვიდოდა ქრისტე
მარტო ეული.
გზათ მოეწია
სოფლის მოძღვარსა,
ჩაკურატებულს,
მორგევივით რგვალსა.
საღამი მისცა,
უთხრა: „მამო,
გაკურთხოს ქვეყნათ
მალლით ცამო!..
უცხო კაცი ვარ,
შორით მსვლელიო,
არც თვალი მიჭრის
არცა ხელიო;
ნაჩუქარი მაქვს
სამი კვერიო,
მაგრამ შენახვა
ვერ შევძელიო;
გთხოვ, ამ აბგაში
ჩამილაგოო,

მაგრამ არც ერთი
 დამიკარგოო“.
 დასთანხმდა მღვდელი
 დიდი ხალისით,
 (სულ სხვა განზრახვით,
 არ საკადრისით):
 ორი ჩაუღო
 იქვე აბგაში,
 ხოლო — მესამე
 იქრა კალთაში.
 და გზას გაუდგენ...
 მიდიან ნელა,
 გლახა მოხუცი,
 მღვდელი წვერ-გრძელა.
 მიადგენ წყაროს,
 ჩუხჩუხას, გრილსა,
 კორდს ამწვანებულს,
 ხავერდათ შლილსა.
 უთხრა გლახაკმა:
 ღირსო მამაო!
 მოდი დავნაყრდეთ,
 თუ გსურს ჭამაო“.
 დასხდენ. გლახაკმა
 როდესაც ნახა,
 კვერთ ერთი აკლდა,
 მკვახეთ შესძახა:

— „განა შეშვენის
ქურდობა მღვდელსო,
ქრისტეს მოციქულს,
სიწმიდის მცველსო?!“
გაფითრდა მღვდელი,
დაეტყო წყენა:
ფიციო ქრისტე ძირს,
ჩამოასვენა
და დაარწმუნა:
უბრალოა ის,
კვერის შესახებ
მან არა იცის.
რადას იზამდა?
დამშვიდდა გლახა:
რასაც ფიქრობდა,
გულს დაიმარხა.
კვლავ გზას გაუდგენ...
მიდიან ნელო,
გლახა მოხუცი,
მღვდელი წვერ-გრძელი.
და უცბათ გზაზე
ხაზინა ნახეს:
გაეყოთ იქვე
მათ განიზრახეს.
სთქვა მღვდელმა: „მსჯავრი
სწორეთ დავდოთო:

ნაპოვნი განძი
 შუა გავყოთო“.
 გლახამ მიუგო:
 — „ეგრე არაო:
 ვინაც ის კვერი
 მოიპარაო, —
 იმასაც ვარგოთ
 ერთი წილიო
 და ავაცილოთ
 გასაქირიო.
 აღბათ შიმშილი
 უკლავდა გულსო,
 თორემ ქურდობას
 ვით იქმდა, კრულსო!“
 მღვდელს გაეხარდა,
 ასწია კაბა:
 — „მე მოვიპარე
 ის კვერი აბა!“
 სთქვა და ტომარას
 ჩასქიდა ხელი,
 ისე, ვით კრავსა
 მშიერი მგელი.
 გლახაკმა მწარეთ
 გადიხარხარა:
 რასაც ფიქრობდა,
 ველარ დაჰფარა.

უთხრა: „ჰა, ყველა
იყოს შენიო,
მაგრამ ვერ გაძღე
შენი ღღენიო!“
და წამსვე გაჰქრა,
გაუჩინარდა,
სიწმინდე ცისა,
ცასვე მიფარდა.
მას აქეთია
ვერ ძღება მღვდელი:
გამოწვდილი აქვს
ორივე ხელი!

მდიდარი და მენახშირე

1

იყო ერთი მდიდარი,
მაგრამ ძუნწი გულითა,
გროშს გროშზე აწებებდა,
ვერ ძღებოდა ფულითა.
ოქრო-ვერცხლის მთა ედგა,
ეპყრა დაბა-სოფლები,
მაგრამ მაინც ცდილობდა —
გაეძარცვა ობლები.
სხვის სუფრაზე თუ იჯდა,
ქეიფობდა გულითა,
შინ კი კმაყოფილობდა
მხოლოდ შავი პურითა.

2

ერთხელ იგი ბაზარში
გამოვიდა დილითა,
ნახა სავსე დუქნები
სანოვაგით, ხილითა.
ხან ამას შეევაჭრა,
ხან იმას ჩაუხველა,
მაგრამ ხმაც არვინ გასცა,
რადგან იცნობდა ყველა.

ეწყინა. გულნატკენი
 შეირბა, აიწურა,
 მაგრამ რაღას იზამდა?
 ისევ სახლს მიაშურა.
 წინ შემოხვდა მეთევზე
 ხელში ცოცხალ თევზებით.
 პირში ნერწყვი მოადგა,
 ჰკითხა სულის კვეთებით:
 — „როგორ ჰყიდი მაგ თევზებს,
 რამდენ უხალთუნათო?
 — „ერთ მანეთად მოგართმევ,
 თუ წაიღებ სრულათო“.
 — „რას ამბობ, ძმავე!? ძვირია...
 ამოდენა ფულითო
 მთელ დღეს გავატარებდი
 ქვიფ-კრიმან ქულითო“ .

4

ამ დროს თავს წამოადგათ
 მენახშირე ომარა*),
 ზურგზე წამოეკიდა
 მას ნახშირით ტომარა.
 არც კი შევაქრებია,
 ხელთ ჩაუდო აბაზი.

*) სახელია კაცის.

— „ხომ კი გაგიგონია,
 უთხრა, — პეტრე ხაბაზი?
 მის გვერდით მქედელია,
 ბარ-სახნისის მქნელიო,
 ალბათ გენახულება,
 ჯმუხა კაცი, სქელიო? —
 ამ ნახშირს მას მაუტან,
 გამოვართმევ ხვედრ ფულსო
 და დანარჩენსაც მოგცემ,
 არ დაგწყვეტავ მით გულსო“.
 და წავიდენ... მათ უკან
 გაჰყვა ჩენი მდიდარი,
 თან თავს ეკითხებოდა:
 „ცხადია, თუ სიზმარი?!
 მენახშირე ტკბილ პურს სჭამს,
 მე რა ცოდვა მეწია?!“
 და, ამ ფიქრით მოცული,
 ომარს წამოეწია.
 უთხრა: „ერთ რამესა გთხოვ,
 მოდი, ამისრულეო,
 შემდეგ შენს პატივმცემელ
 მოყვრათ მეც მიგულეო:
 სადილათ დამპატიე,
 რომ ვიხილო თვალითო,
 რა ავლა-დიდება გაქვს,
 ცხოვრობ რისი ძალითო“.

— „ბატონი ხარ... მობრძანდი!
 მემამება ფრიადო:
 ვინც მიკადრებს, მისთვის მეც
 კარები მაქვს ღიადო“.
 წაიყვანა. გულუხვით
 უმასპინძლო, ახარა:
 სიღარიბის უფსკრული
 პურადობით დაჰფარა.

5

ზის და ხადავს მდიდარი
 ქობს უბრალოს, წახრილსა,
 ფარღალაღა კედლებსა,
 სვეტებს შუა გახრილსა;
 ცარიელ ტახტს, ძველ ფარღავს,
 ფეხშიშველა ბალოლებსა,
 მაგრამ გულ-მხიარულებს,
 დარდის თან არ წამლებსა...
 ხედავს და ძალზე უკვირს:
 „რატომ ხდება ასეო,
 ღარიბი — მხიარულობს,
 მე — ჯავრით ვარ სავსეო?!“
 იმას კი ვერ მიმხვდარა
 მისი ქკუა-გონება,
 რომ მიზეზი ამისი
 არის ოქროს მონება.

6

როცა გამოეთხოვა,
 უთხრა: „მეგობარო,
 ყური მიგდე, მწადია
 რამე დაგიბარო:
 ხვალ სადილათ მეწვიე,
 ერთად ვქამოთ პურიო,
 თუ გინდა, რომ არ დარჩე
 ბედის უმადურიო“.
 და წავიდა, ნახულით
 მეტათ გაკვირვებული.
 თავში უტრიალებდა
 აზრი ახირებული:
 „სიღარიბე, სიმდიდრე
 სულ სხვადასხვა ხილია,
 კაცის ბედნიერება
 რომელ მათგანს ჰკიდია?!“

7


მეორე დღეს ომარა
 მიადგა მდიდრის კარსა,
 კრძალოვით და მორიდებით
 ჩამოჰკრა ნელა ზარსა.
 მიიღო მეგობრულათ,
 უმასპინძლა გულითა,

გროშს გროშზე აწებებდენ
 და იმას უბატებდენ.
 ძარცვა-გლეჯის სურვილიც
 ნელ-ნელ შემოეპარათ:
 მუდამ იმას ფიქრობდენ
 ვისთვის რა მოეპარათ.
 და აშგვართ დღე ღამეს
 და ღამე დღეს მისდევდა,
 ის კი არ ივსებოდა,
 თითქო დაბლა იწევდა.
 ითმინა მენახშირემ,
 ბოლოს ვერ აიტანა,
 დაავლო ოქროს ხელი,
 ძველ პატრონს მიუტანა.
 უთხრა: „რა შინ წავიღე
 ეს ლითონი, კრულიო,
 შემდეგ სიხარბის გველმა
 გამომიხრა გულიო“.
 და გაშორდა... ნახშირით
 მოიკიდა ტომარა
 და ისევ ძველ ცხოვრებას
 დაუბრუნდა ომარა.



ფასი 20 ჰან.

ქართული ენის ენციკლოპედია



K 3.757/2